BAG
ინდექსი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

M
P C
G
Research

III კვარტალი 2026

BAG ინდექსი



ბიზნეს კლიმატი



დასაქმების ბარომეტრი



ინვესტიციების კვლევა



ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კვლევა

III კვარტალი
2026

სარჩევი

BAG ინდექსი 1

BAG ბიზნეს კლიმატი 1

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 3

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით 6

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები 8

დაფინანსება 13

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ 15

BAG დასაქმების ბარომეტრი 16

BAG ინვესტიციების კვლევა 20

BAG ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კვლევა 24

BAG ინდექსი

მომზადებულია პი ემ სი კვლევითი ცენტრის და ifo institute-ის მიერ

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების[1] მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს[2]. კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელშემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2026 წლის მესამე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2026 წლის 1 - 16 სექტემბრის პერიოდში.

2026 წლის III კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2026 წლის III კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 48.4 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 29.7, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 68.6 ქულაა.

2026 წლის III კვარტალში, 2026 წლის II კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 0.8 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი 2.2 ქულით გაუმჯობესდა, ხოლო მათ მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 0.3 ქულით შემცირდა.

2026 წლის III კვარტლის BAG ბიზნეს კლიმატის შედეგები 5.2 ქულით გაუმჯობესდა 2025 წლის III კვარტალთან შედარებით. კერძოდ, მომდევნო 6 თვის მოლოდინის შეფასება 12.1 ქულით გაუმჯობესდა, ხოლო მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 0.9 ქულით შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 1).

---

1 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.


2 საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა[3]

2026 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით გაუმჯობესდა BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი. აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ **ბუმის ფაზაში** იმყოფება.

[3] 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტლის მონაცემები, ხოლო 2020-2023 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.




გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი[4]

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2026 წლის III კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2026 წლის II კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის და ვაჭრობის სექტორებში, ხოლო გაუარესდა მომსახურების და მრეწველობის სექტორებში (იხილეთ გრაფიკი 3).

[4] გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თუკი ბიზნესები მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „აღმასვლის" მეოთხედში. თუკი მიმდინარე მდგომარეობა და მოლოდინი დადებითად ფასდება, მაჩვენებელი „ბუმის" მეოთხედში ხვდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მდგომარეობა დადებითადაა შეფასებული, ხოლო მოლოდინი უარყოფითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „დაღმასვლის" მეოთხედში. ხოლო, თუ მიმდინარე მდგომარეობაც და მოლოდინიც უარყოფითადაა შეფასებული, მაჩვენებელი „რეცესიის" მეოთხედში ხვდება. გრაფიკზე 2020-2025 წლებისთვის წარმოდგენილია საშუალო კვარტალური მაჩვენებლები.



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2026 წლის II და 2026 წლის III კვარტლებში


2026 წლის III კვარტალში, 2026 წლის II კვარტალთან შედარებით, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესებულია მშენებლობის სექტორში 20.5 ქულით და ვაჭრობის სექტორში - 0.7 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა მრეწველობის სექტორში 9.7 ქულით და მომსახურების სექტორში - 4.3 ქულით. რაც შეეხება ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს, შეფასება გაუმჯობესდა მშენებლობის სექტორში 40.6 ქულით, მრეწველობის სექტორში - 2.8 ქულით და ვაჭრობის სექტორში - 0.1 ქულით, ხოლო მომსახურების სექტორში 7.5 ქულით, გაუარესდა.

2026 წლის III კვარტალში ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე მაღალი შეფასება მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - მრეწველობის სექტორში. ამას გარდა, ყველაზე პოზიტიური ბიზნესის მოლოდინი ასევე მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიური - ვაჭრობის სექტორში (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2026 წლის III კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	40.1	21.2	60.6
მომსახურების სექტორი	51.2	34.2	69.4
მრეწველობის სექტორი	41.7	12.5	75.0
მშენებლობის სექტორი	65.1	53.8	76.9
ყველა სექტორი	48.4	29.7	68.6

2026 წლის III კვარტალში, 2025 წლის III კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის სექტორში 35.4 ქულით და მრეწველობის სექტორში - 19.5 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა ვაჭრობის სექტორში 6.7 ქულით, მომსახურების სექტორში კი - 0.1 ქულით.




გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2026 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 32%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2026 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 36% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო 61% არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის შეცვლას (იხილეთ გრაფიკი 5).
- სექტორებს შორის, 2026 წლის III კვარტლის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2026 წლის IV კვარტლის მოლოდინს, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ ყველაზე პოზიტიური შეფასებით ისევ მშენებლობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში[5]




გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

[5] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება


- 2026 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 61%-მა დააფიქსირა გაყიდვების ზრდა, ხოლო 5%-მა - შემცირება. რაც შეეხება 2026 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 68% ფიქრობს, რომ მოთხოვნა გაიზრდება, ხოლო 4% შემცირებას მოელის.
- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2026 წლის III კვარტლის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად მომსახურების (63%) და მრეწველობის (63%) სექტორებში აფასებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიურად - ვაჭრობის სექტორში (58%). 2026 წლის IV კვარტლისთვის ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მრეწველობის სექტორში (88%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).




გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2026 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 27%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2026 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 23% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2026 წლის III კვარტალში ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის (77%) სექტორში აფიქსირებს. 2026 წლის IV კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად ასევე მშენებლობის სექტორში (77%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).




გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2026 წლის III კვარტალში, 2026 წლის II კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (7 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2026 წლის III კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორებია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები და სამუშაო ძალის ნაკლებობა (იხილეთ გრაფიკი 11).




გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2026 წლის III კვარტალში


სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით, 2026 წლის III კვარტალში:

- ***სპეციალისტების ნაკლებობა*** ყველაზე მწვავედ იგრძნობა მშენებლობის სექტორში (100%) და საშუალო ზომის კომპანიებში (48%).
- ***სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები*** ყველაზე მეტად აწუხებს საშუალო ზომის კომპანიებს (33%), განსაკუთრებით კი მშენებლობის (75%) და ვაჭრობის (57%) სექტორებს.
- ***სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა*** ყველაზე მწვავედ მშენებლობის (63%) და მომსახურების (50%) სექტორებში დგას, რაც საშუალო ზომის (43%) კომპანიებისთვის განსაკუთრებით პრობლემურია.
- ***ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა*** განსაკუთრებით პრობლემურია მრეწველობის (25%) სექტორში. საწარმოთა ზომის მიხედვით, აღნიშნული პრობლემა ყველაზე მეტად საშუალო (14%) და მსხვილი ზომის (8%) საწარმოებს აწუხებს.

- ***მოთხოვნის სიმცირე*** წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს განსაკუთრებით მრეწველობის სექტორისთვის (25%), ხოლო მშენებლობის სექტორში ეს პრობლემა საერთოდ არ ფიქსირდება. საწარმოთა ზომის მიხედვით კი, ეს პრობლემა განსაკუთრებით საშუალო (14%) ზომის კომპანიებს აწუხებს.
- ***შეზღუდული ფინანსური რესურსები*** ხელის შემშლელი ფაქტორი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორისთვის არის (38%). საწარმოთა ზომის მიხედვით კი, შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემა თითქმის თანაბარია მსხვილ (6%), საშუალო (5%) და მცირე (5%) საწარმოებს შორის. (იხილეთ გრაფიკები 12 და 13).




გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2026 წლის III კვარტალში



გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2026 წლის III კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა გამძაფრდა (8 პროცენტული პუნქტით), ხოლო მოთხოვნის სიმცირის პრობლემა 19 პროცენტული პუნქტით შემსუბუქდა (იხილეთ გრაფიკი 14).



გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის[6]


[6] ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დაემატა.

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2026 წლის III კვარტალში სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის კომპანიათა უმეტესობამ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად ***მარეგულირებელი გარემო*** მიიჩნია. სექტორებს შორის მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ხშირად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, ხოლო დანარჩენ სექტორებში - თანაბრად ხშირად.


სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის მეორე ადგილს ***ადმინისტრაციული საკითხები*** იკავებს. აღნიშნული ყველაზე მეტად ხელის შემშლელია მშენებლობის სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად ხელის შემშლელად დასახელდა ვაჭრობის სექტორში.


რაც შეეხება ***სასამართლო სისტემას,*** აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად ხელის შემშლელად დაფიქსირდა მომსახურების სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად - ვაჭრობის სექტორში.




გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც მარეგულირებელ გარემოს და სასამართლოს ასახელებდნენ ხელის შემშლელად (2 და 1 პროცენტული პუნქტით, შესაბამისად), ხოლო გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდნენ ხელის შემშლელად (27 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 16).








გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის


დაფინანსება

2026 წლის III კვარტალში დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 46%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია (იხილეთ გრაფიკი 17). საწარმოთა ზომის მიხედვით, ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიება უფრო მეტად მსხვილმა (56%) საწარმოებმა სცადეს, შედარებით ნაკლებად კი მცირე (39%) და საშუალო (37%) საწარმოებმა.



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება

2026 წლის III კვარტალში მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 19% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 4 პროცენტული პუნქტით შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 18). ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო ხშირად მცირე ზომის საწარმოებში დაფიქსირდა (25% იმ საწარმოთაგან, რომლებმაც სცადეს დაფინანსების მოძიება), ხოლო ნაკლებად - საშუალო (18%) და მსხვილი (17%) ზომის საწარმოებში.




გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა[7]

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს[8], 2026 წლის III კვარტალში კომპანიათა უმრავლესობის (69%) განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან, 2026 წლის III კვარტალში იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსდება, წინა კვარტალთან შედარებით 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 27% შეადგინა.

[7] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


[8] 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2026 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (64%) არ ელის მომავალ 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილებას. იმ კომპანიების წილი, რომლებიც ლარის გაუფასურებას ელიან 9%-ია, ხოლო მათი, ვინც გამყარებას მოელის - 27%. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალთან შედარებით, 15 პროცენტული პუნქტით შემცირდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან, ხოლო 22 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გამყარების მოლოდინი აქვთ.




გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.[9]

2026 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 32.9 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 3.8 ქულით გაუმჯობესდა, ხოლო 2025 წლის III კვარტალთან შედარებით - 0.5 ქულით.



გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი[10]


2026 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ოთხივე სექტორში დადებითია. 2026 წლის III კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის (44.8 ქულით) და მრეწველობის (22.2 ქულით) სექტორებში, ხოლო გაუარესდა მომსახურების (9.8 ქულით) და ვაჭრობის (2.6 ქულით) სექტორებში (იხილეთ გრაფიკი 22).

[9] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც ,,მზარდი'', ,,სტაბილური'' ან ,,კლებადი''. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - ,,მზარდი''-სა და ,,კლებადი''-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

[10] 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტლის მონაცემები, ხოლო 2020-2023 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.


ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	IV კვ. 2019	I-IV კვ. 2020	I-IV კვ. 2021	I-IV კვ. 2022	I-IV კვ. 2023	I კვ. 2024	II კვ. 2024	III კვ. 2024	IV კვ. 2024	I კვ. 2025	II კვ. 2025	III კვ. 2025	IV კვ. 2025	I კვ. 2026	II კვ. 2026	III კვ. 2026
ვაჭრობა	33.3	-12.6	16.9	29.0	37.4	45.5	9.4	39.4	34.5	29.0	40.6	43.2	43.2	42.4	35.9	**33.3**
მომსახურება	14.6	-13.7	15.3	21.7	28.7	38.9	20.5	22.0	18.8	20.0	22.2	32.7	33.3	35.0	28.2	**18.4**
მრეწველობა	11.1	2.9	23.4	28.1	42.6	28.6	12.5	20.0	30.0	23.5	17.6	20.0	16.7	25.0	27.8	**50.0**
მშენებლობა	50	-31.9	30.1	44.6	63.5	70.0	47.1	35.7	30.8	16.7	54.5	20.0	28.6	0	16.7	**61.5**
BAG	26.1	-14.3	18.6	27.4	37.3	43.3	19.1	28.9	27.0	23.0	31.6	32.4	33.2	31.5	29.1	**32.9**




გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2026 წლის III კვარტალში კომპანიათა 22%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები, რაც როგორც წინა კვარტლის მაჩვენებელზე, ისე წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელზე ნაკლებია. ხოლო 2026 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა 30% გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 23).




გრაფიკი 23: დასაქმებულთა ანაზღაურება

სექტორების მიხედვით, 2026 წლის III კვარტალში, კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა მშენებლობის სექტორში (77%) გაზარდა დასაქმებულთა ანაზღაურება. 2026 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი ასევე მშენებლობის სექტორში (69%) გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 24).



გრაფიკი 24: დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გამოკითხულ კომპანიათა შორის, მათ ვინც 2026 წლის III კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმეტესობამ (85%) დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა, ხოლო 15%-მა დასაქმებულთა ანაზღაურება 21-40%-ით გაზარდა.




გრაფიკი 25: დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2026 წლის III კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2025 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2026 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2025 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 64%–მა განაცხადა, რომ 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 34%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 2%-ისთვის შემცირდა.



გრაფიკი 26: საინვესტიციო გარემო 2025 წელს

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში კომპანიათა 77%-ის განცხადებით, 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები გაიზარდა, რაც სექტორებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ვაჭრობის სექტორში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 67%-მა დააფიქსირა, მომსახურების სექტორში კომპანიათა 61%-მა, ხოლო მრეწველობის სექტორში - 50%-მა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 28, 29, 30 და 31).

რაც შეეხება ინვესტიციების შემცირებას, მრეწველობის სექტორში კომპანიათა 13%-ის განცხადებით, 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები შემცირდა. მომსახურების სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების შემცირება კომპანიათა 3%-მა დააფიქსირა, ხოლო მშენებლობის და ვაჭრობის სექტორში ინვესტიციების შემცირება არ დაფიქსირებულა.

2025 წელს, კომპანიების ყველაზე დიდმა წილმა გაზარდა ინვესტიციები მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (70%), შემდეგ, პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში (61%) და შენობა-ნაგებობებში (56%).


სექტორებს შორის, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ვაჭრობის სექტორში, სადაც კომპანიების 76%-მა გაზარდა ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში ინვესტიციების ზრდის მიხედვითაც ვაჭრობის სექტორი გამოირჩეოდა მომსახურების სექტორთან ერთად (63-63%), ხოლო შენობა-ნაგებობებში ინვესტიციების ზრდის მიხედვით მრეწველობის სექტორი (71%) იკავებს პირველ ადგილს.

საინვესტიციო გეგმები 2026 წელს

2026 წლის საინვესტიციო გეგმის შესაფასებლად 2026 წლის I კვარტალში ჩატარდა ინვესტიციების კვლევა, ხოლო 2026 წლის III კვარტალში მოხდა ამ პროგნოზის განახლება.

2026 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 68%-მა განაცხადა, რომ 2026 წელს, 2025 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 27% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელის, ხოლო 4% მოელის ინვესტიციების კლებას.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის III კვარტალში, 2026 წლის I კვარტალთან შედარებით, მცირედით გაუმჯობესებულია საინვესტიციო პროგნოზები 2026 წლისთვის, კერძოდ, ნაცვლად კომპანიების 65%-ისა, რომელიც გეგმავდა ინვესტიციების ზრდას 2026-ში, ახლა 68% გეგმავს ინვესტიციების გაზრდას. სექტორების მიხედვით, ინვესტიციების პროგნოზი ყველაზე მეტად (17 პროცენტული პუნქტით) მშენებლობის სექტორში გაიზარდა, კერძოდ, 2026 წლის I კვარტალში კომპანიათა 60% თვლიდა, რომ 2026-ში გაიზრდებოდა მათი ინვესტიციები, ხოლო III კვარტალში - 77%.




გრაფიკი 27: კომპანიების 2026 წლის საინვესტიციო გეგმები


სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2026 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 77% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. ამასთანავე, მომსახურების სექტორში 68% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას, ვაჭრობის სექტორში 66%, ხოლო მრეწველობის სექტორში - 63%.

2026 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად შენობა-ნაგებობების კუთხით. გამოკითხულთა 62% მოელის, რომ 2026 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით. მსგავსი მოლოდინი აღჭურვილობის მიმართულებით 61%-ს აქვს, ხოლო გამოკითხულთა 56% ფიქრობს, რომ 2026 წელს მათ მიერ შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, აღჭურვილობის მიმართულებით ყველაზე დადებითი პროგნოზები ფიქსირდება მომსახურების სექტორში, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 71% აპირებს გაზარდოს ინვესტიციები. სექტორებს შორის, შენობა-ნაგებობებში ინვესტიციების ზრდის მიმართულებით მშენებლობის სექტორში (69%) ფიქსირდება ყველაზე პოზიტიური მოლოდინი, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების ინვესტიციების ზრდის მიმართულებით - მომსახურების სექტორში (69%).




გრაფიკი 28: საინვესტიციო გარემო 2022-2025 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2026 წელს ვაჭრობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)[11]




გრაფიკი 29: საინვესტიციო გარემო 2022-2025 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2026 წელს მომსახურების სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

[11] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი



გრაფიკი 30: საინვესტიციო გარემო 2022-2025 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2026 წელს მრეწველობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)




გრაფიკი 31: საინვესტიციო გარემო 2022-2025 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2026 წელს მშენებლობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

BAG ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კვლევა

2026 წლის III კვარტლის გამოკითხვაში, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით კომპანიების გამოცდილების შესაფასებლად, BAG ინდექსის კითხვარში დამატებითი კითხვები ინტეგრირდა. კითხვები ეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, საბაჟო და სასაზღვრო პროცედურებს, სატრანზიტო ნებართვებს, მულტიმოდალურ დოკუმენტაციას, ტარიფების პროგნოზირებადობას, კომპანიების საინვესტიციო გეგმებსა და შუა დერეფნის (ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის) გამოცდილებას.


კომპანიების სპეციფიკა და ტრანსპორტის გამოყენება

გამოკითხული კომპანიების **62.5%** ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მომსახურებას რეგულარულად იყენებს, ხოლო **37.5%** თავად წარმოადგენს ასეთი მომსახურების მიმწოდებელს. (იხილეთ გრაფიკი 32).



გრაფიკი 32: კომპანიების საქმიანობის კავშირი საერთაშორისო ვაჭრობასთან, ტრანსპორტთან და ლოგისტიკასთან, 2026 წლის III კვარტალი

ბოლო 12 თვის განმავლობაში, გამოკითხული კომპანიები ყველაზე ხშირად **საზღვაო/საპორტო (88%)** და **საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებს (88%)** იყენებდნენ, ყველაზე ნაკლებად კი ადგილობრივ სარკინიგზო გადაზიდვას (19%) (იხილეთ გრაფიკი 33).




გრაფიკი 33: ბოლო 12 თვეში გამოყენებული ტრანსპორტისა და ლოგისტიკის საშუალებები, 2026 წლის III კვარტალი[12]

[12] კომპანიებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლების ჯამი 100%-ს აღემატება. ეს შენიშვნა ვრცელდება მრავლობითი არჩევანის ყველა კითხვაზე.


ტვირთის სტრუქტურა, ლოგისტიკური და სასაწყობე მომსახურება

ტვირთის ტიპების მიხედვით, გამოკითხულ კომპანიებში დომინირებს **კონტეინერიზებული ტვირთი.** სრულ კონტეინერს (FCL) კომპანიათა 75% ამუშავებს, ხოლო არასრულ კონტეინერს (LCL) - 44%. ცალობით ან გენერალურ ტვირთს კომპანიათა 56% გადაზიდავს, თხევად ნაყარ ტვირთს კი მხოლოდ 13% (იხილეთ გრაფიკი 34).




გრაფიკი 34: კომპანიების მიერ გადაზიდული ან დამუშავებული ტვირთის ტიპი, 2026 წლის III კვარტალი

გამოკითხულ კომპანიათა **94%**-ს საკუთარი ან კომპანიის მიერ მართული ლოგისტიკის განყოფილება აქვს, **81%** დაქირავებულ გადამზიდავს, სატვირთო ექსპედიტორს ან საკურიერო კომპანიას მიმართავს, ხოლო **50%** მესამე მხარის ლოგისტიკურ მომსახურებას (3PL) იყენებს. (იხილეთ გრაფიკი 35).



გრაფიკი 35: კომპანიების მიერ გამოყენებული ლოგისტიკური მომსახურების ტიპი, 2026 წლის III კვარტალი


რაც შეეხება სასაწყობე ინფრასტრუქტურას, კომპანიათა 63% საკუთარ ან კომპანიის მიერ მართულ საწყობს იყენებს, 50% - მესამე მხარის (3PL) მიერ მოწოდებულ სასაწყობე სივრცეს, ხოლო 38% - იჯარით აღებულ თანამედროვე (A კლასის ან ეკვივალენტურ) საწყობს. არაფორმალურ ან არაკლასიფიცირებულ სასაწყობე სივრცეს კომპანიათა 13% იყენებს. (იხილეთ გრაფიკი 36).



გრაფიკი 36: კომპანიების მიერ გამოყენებული სასაწყობე ან ლოგისტიკური ობიექტების ტიპი, 2026 წლის III კვარტალი


ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯები

ბოლო 12 თვის განმავლობაში (2025 წლის სექტემბერი - 2026 წლის აგვისტო), წინა 12 თვესთან შედარებით, გამოკითხულ კომპანიათა **81%**-ს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯები **გაეზარდა**, 13%-ისთვის ხარჯები არ შეცვლილა, ხოლო მხოლოდ 6%-მა დააფიქსირა ხარჯების შემცირება.



გრაფიკი 37: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯების ცვლილება ბოლო 12 თვეში, 2026 წლის III კვარტალი


ხარჯების ზრდის მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად **საწვავის ფასების ზრდა** დაფიქსირდა (62%). თუმცა, მიზეზების მნიშვნელოვანი ნაწილი სტრუქტურული ხასიათისაა. კომპანიათა 46-46% მიუთითებს საავტომობილო ტრანსპორტზე გაზრდილ დამოკიდებულებაზე მულტიმოდალური ვარიანტების ნაკლებობის გამო, პორტებსა და სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში გაზრდილ ტარიფებზე და გეოპოლიტიკურ შეფერხებებზე, რომლებიც მარშრუტის შეცვლას მოითხოვდა. კომპანიათა 38-38%-მა ხარჯების ზრდის მიზეზად პორტებში გადატვირთულობა ან ტერმინალებში შეფერხებები, ტრანსპორტის სახეობებს შორის ტვირთის გადატვირთვის ხარჯები და რამდენიმე ქვეყნის გავლით ტრანზიტის ხარჯები დაასახელა (იხილეთ გრაფიკი 38).



გრაფიკი 38: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ხარჯების ზრდის ძირითადი მიზეზები, 2026 წლის III კვარტალი


ტარიფების, მომსახურებისა და მიწოდების დროის პროგნოზირებადობა

კომპანიების შეფასებით, ყველაზე პროგნოზირებადი ფაქტორი **ტარიფები და მოსაკრებლებია** - მათ კომპანიათა 69% სრულიად ან უმეტესად პროგნოზირებადად მიიჩნევს, ხოლო მხოლოდ 6% - არაპროგნოზირებადად. ტვირთის door-to-door მიწოდებისა და ტრანზიტის დროს სრულიად ან უმეტესად პროგნოზირებადად კომპანიათა 64% აფასებს, თუმცა 21% მას არაპროგნოზირებადად მიიჩნევს. ყველაზე ნაკლებად პროგნოზირებადია **მომსახურების პირობები** (ვაგონების ან გემების ხელმისაწვდომობა, ადგილების განაწილება, განრიგის დაცვა). მათ სრულიად ან უმეტესად პროგნოზირებადად კომპანიათა 47% მიიჩნევს, ხოლო 20% - არაპროგნოზირებადად (იხილეთ გრაფიკი 39).



გრაფიკი 39: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ფაქტორების პროგნოზირებადობა, 2026 წლის III კვარტალი


ბოლო 12 თვის განმავლობაში, წინა 12 თვესთან შედარებით, მიწოდების/ტრანსპორტირების დროის პროგნოზირებადობის გაუმჯობესება **არცერთ კომპანიას არ დაუფიქსირებია.** კომპანიათა 75%-ისთვის აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა, ხოლო 25%-ის შეფასებით, მიწოდების დროის პროგნოზირებადობა გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 40).



გრაფიკი 40: მიწოდების/ტრანსპორტირების დროის პროგნოზირებადობის ცვლილება ბოლო 12 თვეში, 2026 წლის III კვარტალი


მიწოდების ჯაჭვში შეფერხებები და ხელის შემშლელი ფაქტორები

ბოლო სამი წლის განმავლობაში, მიწოდების ჯაჭვში მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოკითხულ კომპანიათა 69%-მა დააფიქსირა. მათ შორის, კომპანიათა 63%-ს ალტერნატიული მარშრუტების მოძიება და გამოყენება მოუწია, ხოლო 6%-მა არსებული მარშრუტების ფარგლებში დარჩენა შეძლო. მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ჰქონია კომპანიათა 31%-ს (იხილეთ გრაფიკი 41).



გრაფიკი 41: მიწოდების ჯაჭვში მნიშვნელოვანი შეფერხებების გამოცდილება ბოლო სამი წლის განმავლობაში, 2026 წლის III კვარტალი

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან ხელის შემშლელ ფაქტორებად[13] კომპანიებმა **პორტებსა და ტერმინალებში (63%)** და **სარკინიგზო კვანძებზე შეფერხებები** დაასახელეს (63%). ტარიფებისა და მოსაკრებლების არაპროგნოზირებადობა ხელის შემშლელ ფაქტორად კომპანიათა მხოლოდ 13%-მა დაასახელა, ხოლო კომპანიების 13% მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვან დაბრკოლებას არ აწყდება (იხილეთ გრაფიკი 42).




გრაფიკი 42: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით ყველაზე ხელის შემშლელი ფაქტორები, 2026 წლის III კვარტალი

[13] ხელის შემშლელი ფაქტორები შესაძლოა არ ეხებოდეს მხოლოდ საქართველოს.

კომპანიებისთვის ყველაზე პრობლემურ პროცედურულ საკითხებს შორის თანაბარი წილით (25-25%) დასახელდა:

- *დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენის საჭიროება სხვადასხვა ეტაპზე;*
- *ელექტრონული დოკუმენტების არასაკმარისი აღიარება;*
- *სატრანზიტო გარანტიები, მოსაკრებლები ან წინასწარი გადახდები.*


კომპანიათა 19-19% მიუთითებს ნოტარიული დამოწმების ან დამატებითი სერტიფიკატების მოთხოვნებზე, მულტიმოდალური გადაზიდვისთვის ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტის არარსებობაზე, სასაზღვრო პუნქტების, პორტებისა და სხვა უწყებების სამუშაო საათების შეუსაბამობასა და არაგამჭვირვალე ან დისკრეციულ გადაწყვეტილებებზე (იხილეთ გრაფიკი 43).



გრაფიკი 43: საერთაშორისო ოპერაციებში ყველაზე პრობლემური პროცედურული საკითხები, 2026 წლის III კვარტალი


რეფორმები და საინვესტიციო გეგმები

კომპანიების შეფასებით, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროს ყველაზე მეტად **საბაჟო და სასაზღვრო პროცედურების დიგიტალიზაცია**, წინასწარი მონაცემთა გაცვლის სისტემის დანერგვით, გააუმჯობესებდა (63%). მას თანაბარი წილით მოსდევს პორტების გამტარუნარიანობის გაფართოება (50%) და ერთიანი და სტანდარტიზებული მულტიმოდალური სატრანსპორტო დოკუმენტის დანერგვა (50%) (იხილეთ გრაფიკი 44).



გრაფიკი 44: რეფორმები, რომლებიც ყველაზე მეტად გააუმჯობესებდა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროს, 2026 წლის III კვარტალი


რეგულაციური და საოპერაციო ბარიერების შემცირების შემთხვევაში, მომდევნო 1-2 წლის განმავლობაში გამოკითხულ კომპანიათა ნახევარი საწყობის, დისტრიბუციის ან ცივი ჯაჭვის ობიექტებში ინვესტირებას განიხილავდა. კომპანიათა 25-25% ინვესტირებას ციფრული ტრეკინგისა და მონაცემთა გაცვლის სისტემებში (TMS/WMS) და ახალ საექსპორტო ან სატრანზიტო მარშრუტებში განიხილავდა. ინვესტიციას ან საქმიანობის გაფართოებას არ გეგმავს კომპანიათა 19% (იხილეთ გრაფიკი 45).



გრაფიკი 45: საინვესტიციო ან გაფართოების მიმართულებები ბარიერების შემცირების შემთხვევაში, 2026 წლის III კვარტალი

შუა დერეფანი

გამოკითხულ კომპანიათა **62.5%** ტვირთებს შუა დერეფნის[14] გავლით გადაზიდავს, ხოლო 37.5% აღნიშნულ მარშრუტს არ იყენებს (იხილეთ გრაფიკი 46).




გრაფიკი 46: ტვირთების გადაზიდვა შუა დერეფნის (ტრანსკასპიური მარშრუტის) გავლით, 2026 წლის III კვარტალი

შუა დერეფნით გადაზიდვისას[15] ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად კომპანიათა **90%** კასპიის ზღვის საბორნე გადაზიდვების სიმძლავრეს, განრიგსა და ლოდინის დროს ასახელებს. დაბრკოლებები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ***ფიზიკური და საოპერაციო შეზღუდვები*** - კასპიის ზღვის საბორნე გადაზიდვების სიმძლავრე (90%), სხვადასხვა საზღვარზე საბაჟო სატრანზიტო პროცედურების განმეორებით გავლა (60%), სარკინიგზო ოპერატორებს შორის არასათანადო კოორდინაცია (50%), ტრანსპორტის სახეობებს შორის ტვირთის გადატვირთვის საჭიროება (30%) და კონტეინერების ხელმისაწვდომობის პრობლემა (30%);
- ***ინფორმაციული ფრაგმენტაცია*** - მთლიანი ტრანზიტის დროის არაპროგნოზირებადობა (80%), დერეფნის მასშტაბით ტვირთის თვალყურის დევნების ერთიანი სისტემის არარსებობა (70%), ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის არარსებობა (50%) და დერეფნის ეფექტიანობის შესახებ სანდო მონაცემების ნაკლებობა (40%). (იხილეთ გრაფიკი 47).


[14] შუა დერეფანი (ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი) კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით აკავშირებს ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს ევროპასთან. იგი განსხვავდება რუსეთზე ან სომხეთზე გამავალი მარშრუტებისგან.

[15] გრაფიკები 16-19 ეყრდნობა მხოლოდ იმ კომპანიების პასუხებს, რომლებიც ტვირთებს შუა დერეფნის გავლით გადაზიდავენ.



გრაფიკი 47: შუა დერეფნის გავლით გადაზიდვისას ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, 2026 წლის III კვარტალი


მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა, მთავარ უპირატესობად კომპანიათა **90%** უფრო მცირე ტრანზიტის დროს ასახელებს, **70%** - მარშრუტების დივერსიფიკაციასა და კონკრეტულ დერეფანზე დამოკიდებულების შემცირებას. უფრო მცირე მთლიანი სატრანსპორტო ხარჯი უპირატესობად მხოლოდ **30%**-მა დაასახელა (იხილეთ გრაფიკი 48).



გრაფიკი 48: შუა დერეფნის უპირატესობები ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით, 2026 წლის III კვარტალი


ციფრული ხილვადობა და დერეფნის ეფექტიანობის გაუმჯობესება

კომპანიათაგან **არცერთს** არ აქვს წვდომა ტვირთის რეალურ დროში თვალყურის დევნების ციფრულ სისტემებზე მთელი მარშრუტის განმავლობაში. კომპანიათა 40% ასეთ სისტემებზე წვდომას მხოლოდ მარშრუტის გარკვეულ მონაკვეთებზე ფლობს, ხოლო 60% ხელით განახლებულ ინფორმაციას ან გადამზიდავებთან კომუნიკაციას ეყრდნობა (იხილეთ გრაფიკი 49). ეს მოცემულობა თანხვედრაშია ტრანზიტის დროის არაპროგნოზირებადობასთან, რომელიც დერეფნის დაბრკოლებებს შორის მეორე ადგილზეა.



გრაფიკი 49: წვდომა ტვირთის რეალურ დროში თვალყურის დევნების ციფრულ სისტემებზე, 2026 წლის III კვარტალი

დერეფნის ეფექტიანობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებში სრული კონსენსუსია (100%) კასპიის ზღვის საბორნე გადაზიდვების სიმძლავრის გაზრდასა და ფიქსირებული ნაოსნობის განრიგის დანერგვაზე. კომპანიათა 90% მიიჩნევს, რომ ეფექტიანობას გააუმჯობესებდა დერეფნის ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა რეალურ დროში თვალყურის დევნებისა და ტარიფების გამჭვირვალობის ფუნქციებით. სატრანზიტო ნებართვებისა და კვოტების სისტემის გამარტივება კომპანიათა მხოლოდ 10%-მა დაასახელა (იხილეთ გრაფიკი 50).



გრაფიკი 50: ღონისძიებები, რომლებიც ყველაზე მეტად გააუმჯობესებდა შუა დერეფნის ეფექტიანობას, 2026 წლის III კვარტალი

კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge